განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ციფრული მედია და კომუნიკაციის“

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

<u>დასკვნა</u>

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30-31 იანვარი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 09.02.2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი** არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, ა(ა)იპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ციფრული მედია და კომუნიკაცია** Digital Media and Communication
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი / Bachelor of Mass Communication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, 0321 / Journalism and Reporting, 0321
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N38, 02/03/2018

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დალი ოსეფაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ზაქარაშვილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, სტუდენტი ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მედია და კომუნიკაცია“ (შემდგომში - პროგრამა) მიზნად ისახავს თანამედროვე ციფრული კომუნიკაციის უნივერსალური სპეციალისტის მომზადებას, რადგან ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მზარდი ცვლილებების შედეგად უფრო და უფრო მეტი მედია, კომერციული, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია საჭიროებს ციფრულ სივრცეში სწორ კომუნიკაციას და ზრდის მოთხოვნას შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კადრებზე.
ციფრული გარემო კომუნიკაციის მომავალი პროფესიონალებისგან მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნასა და თვითგანვითარების უნარს. აქედან გამომდინარე, პროგრამა აგებულია ისე, რომ კომუნიკაციების მომავალმა სპეციალისტებმა შეიძინონ კომპლექსური ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მათ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, პროფესიული ამოცანების ეფექტურად და ეთიკურად გადაჭრაში დაეხმარებათ.
აღსანიშნავია, რომ „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ერთადერთი საბაკალავრო პროგრამაა საქართველოში და ხელს უწყობს ქვეყანაში ციფრული მედიისა და კომუნიკაციების დარგის განვითარებას, მედიაბაზარზე არსებული დეფიციტური ადამიანური რესურსის საჭირო და კონკურენტუნარიანი სპეიციალისტების აღზრდას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 30 და 31 იანვარს: 31 იანვარს შეფასება განხორციელდა დისტანციურად, zoom პლატფორმის მეშვეობით, ხოლო 30 იანვარს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების მიზნით, შედგა ვიზიტი უნივერსიტეტში.

  შეხვედრები გაიმართა დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომელნიც ასევე ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებთან, ვინაიდან აღნიშნულ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული. აკრედიტაციის ექსპერტებმა დაწესებულების ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად მიმოიხილეს სასწავლო რესურსები და ადგილზე გაეცნენ ბიბლიოთეკის საძიებო სისტემას, ბაზებსა და პროგრამისთვის შექმნილ რიდერებს. აკრედიტაციის ექსპერტებმა, აგრეთვე ადგილზე დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა - აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია და ა.შ. საბაკალავრო პროგრამის შეფასება განხორციელდა პროფესიულ, თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება აკრედიდაციის I, III, IV და V სტანდარტების მოთხოვნებს, ხოლო II სტანდარტის შემთხვევაში - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

- **უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ**

  2022 წლის 2 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა გამოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემულია დასკვნის პროექტში მითითებულ რეკომენდაციებზე დაწესებულების მოსაზრებები.

  აღსანიშნავია, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია დიდად არ განსხვავდება აკრედიტაციის ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამართული შეხვედრებისას მოწოდებული ინფორმაციისა და კომენტარებისაგან. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა და ჩამოყალიბდა შემდეგზე:

  - არ ვიზიარებთ დაწესებულების პოზიციას <u>დასკვნის პროექტში არსებულ პირველ რეკომენდაციაზე</u>, რომ 54 კრედიტის ფარგლებში საბაკალავრო პროგრამაში შეთავაზებული 30 არჩევითი კრედიტი და 24 თავისუფალი კრედიტი უზრუნველყოფს დარგობრივი კურსების არჩევითობის მრავალფეროვნებას. აქვე დამატებით განვმარტავთ, რომ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი კომპონენტის გაზრდას და გამრავალფეროვნებას. რეკომენდაციაში არ არის საუბარი მოქმედ კანონმდებლობასთან პროგრამის სტრუქტურის შეუსაბამობაზე ან პროგრამის სტრუქტურის შეცვლაზე (მაგალითად, დამატებითი პროგრამის/პროგრამების დამატებაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია დარჩა იგივე.
  - არ ვიზიარებთ დაწესებულების პოზიციას <u>დასკვნის პროექტში არსებულ მეორე რეკომენდაციასთან</u> დაკავშირებით და მიგვაჩნია, რომ ამ შესავალი კურსების სწავლება გამართლებულია საწყის კურსებზევე, სწორედ იმ პოზოციიდან გამომდინარე, რომ ჯერ რომ ზოგადი, შესავალი კურსები უნდა აითვისონ სტუდენტებმა. რაც შეეხება „პროფესული ეთიკის საფუძვლებისა“ და „მედიასამართლის“ უფრო ადრე შეთავაზებას, ვფიქრობთ, უფრო ხელს შეუწყობს კონკრეტული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი

პრაქტიკული დავალებების უკეთ გააზრებასა და მომზადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია დარჩა იგივე.

- არ ვიზიარებთ დაწესებულების პოზიციას <u>დასკვნის პროექტში არსებულ მეოთხე რეკომენდაციაზე</u>, რომ მხოლოდ ვიდეორესურსები შეიძლება იყოს მითითებული კურსის ძირითად ლიტერატურაში და უფრო მეტიც, დავძენთ აქვე იმასაც, რომ მხოლოდ ინტერნეტგვერდებიც არ უნდა იყოს მითითებული ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგალითად, „შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში“). აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია დარჩა იგივე.

რაც შეეხება დასკვნის პროექტში არსებულ მესამე, მეხუთე და მეექვსე რეკომენდაციებს, რომლებსაც ეთანხმება დაწესებულება - ყველა რეკომენდაცია დარჩა იგივე, მათ შორის მესამე რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება შინაარსობრივად იზიარებს, თუმცა მიიჩნევს არა რეკომენდაციად, არამედ განვითარებაზე ორიენტურებულ რჩევად.

აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ლოგიკურად, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, ექსპერტთა ჯგუფის შეთავაზებული რეკომენდაციები კი, ემსახურება სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევას და პროგრამის გაძლიერებასა და განვითარებას.

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 162 კრედიტს სავალდებულო კომპონენტში; 30 არჩევით კრედიტს, 24 თავისუფალ კრედიტს, სავალდებულო პრაქტიკას სტუდენტურ მედიაში 9 კრედიტი და პორტფოლიოს 15კრედიტი. პროგრამაში ძალიან ბევრი სავალდებულო კრედიტია. სასურველია, არჩევითობის კომპონენტი უფრო გამრავალფეროვნდეს.
  - რეკომენდირებულია, უფრო საწყის სემესტრებში, პირველივე კურსზე ისწავლებოდეს ისეთი საგნები, როგორიცაა „შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში“ (3), „პროფესიული ეთიკის საფუძვლები“ (3), „მენჯმენტის საფუძვლები“ (4). ასევე რეკომენდირებულია, „მედიასამართალი“ მე-6 სემესტრის ნაცვლად უფრო ადრეულ სემესტრებში ისწავლებოდეს, ისევე როგორც „აკადემიური წერა“ უმჯობესია თუ პირველივე კურსზე იქნება გათვალისწინებული;
  - უნდა გაგრძელდეს მუშაობა ლიტერატურის განახლება-გამრავალფეროვნებაზე, რადგან მთელ რიგ კურსებში ლიტერატურა განახლებას მოითხოვს;
  - ზოგიერთ სასწავლო კურსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ვიდეორესურსების ლინქები. სასურველია, ისინი გადავიდეს დამხმარე ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების გრაფაში.
  - საგამოცდო საათები არ ჩანს არც პროგრამის კურიკულუმში, არც სილაბუსებში. მხოლოდ მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშოს საათები, რეკომენდირებულია მიეთითოს, რამდენ საათიანია დასკვნითი და ფინალური გამოცდები.
  - ზოგიერთი სასწავლო კურსი გაწერილია 7, 8 ან 9 თემატიკაზე და არ ჩანს, როგორ ნაწილდება ეს სალექციო თემები 15 კვირაზე. მაგალითად: „ქცევის დიზაინი და კომუნიკაცია“; „ბრენდინგის საფუძვლები“, „Copywriting”, „PR ქეისები“, “კამპანიები და სტრატეგიები“, „სამთავრობი უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები“, „ჯანდაცვის საკითხების გაშუქება“, „სასწავლო პრაქტიკა“ და სხვ. სასურველია, მკაფიოდ გაიწეროს, რის საფუძველზე ადგენენ მოკლე ვადიანი კურსების საჭიროებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის მიზნები და შედეგები თითქმის იდენტურია, 7 მიზანი და 7 შედეგი აქვს პროგრამას. სასურველია, მოხდეს პროგრამის მიზნების უფრო გამსხვილება.
  - სასურველია, თავისუფალი კრედიტის გაზრდა, რაც დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს მაინორ პროგრამის აღების შესაძლებლობასაც მისცემს;
  - როგორც სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სასურველია, ინგლისური ენის გარდა, უნივერსიტეტი სთავაზობდეს სხვა უცხოურ ენებსაც;
  - ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის ძალიან ჭარბად და სასურველია საწყის სემესტრებში მაინც ლექტორებმა რიდერები მოამზადონ;
  - არ ემთხვევა ზოგიერთი საგნის სახელწოდება პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსში. მაგალითად, DMC 102 ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება 1 (პროგრამაში), „ვებ-ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები“ სილაბუსში.
  - ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების რუბრიკები უფრო მეტ დეტალიზაციას მოითხოვს, რადგან მაღალია ინტერვალი შეფასებებს შორის. მაგალითად: „PR ქეისების“, „მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სფეროში საგამოცდო კომპონენტების ქულა.
  - „ახალი ამბების თხრობის“ სილაბუსში დასაზუსტებელია 1 კომპონენტის შეფასების სტრუქტურა. შეფასების ინტენსივობა 16-ია, თუმცა, სტრუქტურაში განსაზღვრულია 15; მე-2 კომპონენტი „სავარჯიშოები/დავალებები“ ასევე ითხოვს შესწორებას, რადგან 8 არის გაწერილი და არა 9, როგორც ეს მითითებულია.
  - სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.
  - სასურველია, სტუდენტურ გამოკითხვებში მონაწილეობა ატარებდეს ნებაყოფილობით ხასიათს. მიზანშეწონილია განემარტოს სტუდენტებს მათი დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესწავლის მნიშვნელობა და შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვებში სტუდენტების ჩართულობის ისეთი მექანიზმები, რომლებიც არ შეზღუდავენ სტუდენტების უფლებებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ძლიერი პრაქტიკული კომპონენტი.
  - ძლიერი ინტერნაციონალიზაციის ხარისხი.
  - სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებულ აკადემიური პერსონალის კვლევით პროექტებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, პროგრამაში გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები. მოხდა მოდიფიცირება და განახლება ცალკეული სასწავლო კურსების. აღსანიშნავია, რომ პროგრამას დაემატა ისეთი აქტუალური კურსი, როგორიცაა „მედია და მანიპულაცია“, რომელიც სოციალური მედიის კონტენტის გადამოწმების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ჩაუღრმავდა და მათი გადამოწმების უნარების მნიშვნელობის გააზრებაში დაეხმარება სტუდენტებს.

პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, საბაკალავრო-საგანმანათ-ლებლო პროგრამას დაემატა „სტუდენტური პორტფოლიო“ 15 კრედიტის მოცულობით, რამაც ჩაანაცვლა კვლევითი საბაკალავრო ნაშრომი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მედია და კომუნიკაცია“ (შემდგომში - პროგრამა) მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია მოამზადოს ციფრული მედიაბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ციფრული კომუნიკაციების სპეციალისტი. თანამედროვე ციფრული გარემო კომუნიკაციის მომავალი პროფესიონალებისგან მოითხოვს კომუნიკაციის ძირითადი მიმართულებების, ასევე მულტიმედია ტექნოლოგიების ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომელიც დაეხმარებათ მათ პროფესიული საქმიანობის ეფექტურად და ეთიკურად წარმართვაში. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც პროგრამის ფარგლებში გამოუმუშავდებათ კურსდამთავრებულებს. კერძოდ, სტუდენტი უნდა ფლობდეს ჟურნალისტიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ციფრული კომუნიკაციის დარგობრივ ცოდნას; შეეძლოს ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით პროფესიული ამოცანების ეფექტურად გადაჭრა, ციფრული მედიისა და ონლაინ საკომუნიკაციო არხების შექმნა და მართვა; ინფორმაციის მოკვლევა, შეფასება, ანალიზი და სინთეზირება; უნდა აზროვნებდეს კრიტიკულად, ზეპირი, ვიზუალური, წერილობითი ფორმით რაციონალურად/დასაბუთებულად წარმოაჩენდეს არგუმენტებს; შეეძლოს გუნდში და დამოუკიდებლად მუშაობა; პროფესიულ საქმიანობას აფასებდეს და ახორციელებდეს ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს; უსდ-ს მიერ ჩატარებულმა დასაქმების ბაზრის კვლევამ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ონლაინ ინტერვიუებმა აჩვენა ამ სფეროს მაღალკვალიფიციურ კურსდმთავრებულთა საჭიროება. პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის განსახორციელებლად უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში 33 უნივერსიტეტთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის: Haaga-Helia University of Applied Sciences, Eötvös Loránd University (ELTE) Artesis Plantijn University College Antwerp, Darmstadt University of Applied Sciences, Lille Catholic University,

NLA University College. აღნიშნულის გარდა, პროგრამაში ჩართული სტუდენტებისა, თუ აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის ხელმისაწვდომი იქნება ყველა ის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა, რომელიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ბაზაზე. ასეთ უნივერსიტეტთა შორისაა - Berlin School of Economics and Law, Budapest Metropolitan University, Fontys University of Applied Sciences, GEA College, Hanze University of Applied Science, Groningen, International Hellenic University, Kennesaw State University, Mondragon University, NBS Northern Business School, NLA University College, Northern Arizona University, Riga Technical University, RISEBA University of Applied Sciences, The Hague University of Applied Sciences, UC Leuven Limburg, University Business Academy in Novi Sad, University of Catania, University of Clermont Auvergne, University of Dabrowa Gornicza, University of Economics, Prague, University of Porto, University of Rijeka, Warsaw School of Economics.

უნივერსიტეტი პრიორიტეტულად მიიჩნევს ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, გამომდინარე საკუთარი მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმიდან.

პროგრამის განხორციელების დონეზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი გამოიხატება უცხოელი პროფესორების მოწვევით და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი სემესტრის/პროგრამების შეთავაზებით, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისათვის, მათი აკადემიური და პროფესიული განვითარის უზრუნველსაყოფად. ამჟამად, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, პროგრამის ერთი სტუდენტი იმყოფება გაცვლითი პროგრამით უნგრეთში, ორი სტუდენტი ბელგიაში, ერთი გაზაფხულის სემესტრში გაემგზავრება საფრანგეთში.

პროგრამის სტუდენტები, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია ERASMUS + -ის გაცვლით პროგრამებში. სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ERASMUS+ -ის გაცვლითი პროგრამებსა და მოკლევადიან სასწავლო კურსებში მონაწილეობის წესებსა და პირობებში განსაზღვრულია პროგრამების ფარგლებში სტუდენტების მიერ დაგროვილი კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევითი საქმიანობის მიმართულებით, ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების დროს და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი აქვეყნებს პუბლიკაციებს, საერთაშორისო რეფერირების მქონე გამოცემებში, აწარმოებს ერთობლივ კვლევით საქმიანობას ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან. კვლევებსა და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელებაში სტუდენტებიც არიან ჩართულნი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა;
- საერთაშორისო პარტნიორ უსდ-ებთან გაფორმებული მემორანდუმები და შეთანხმებები;
- ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის ხელშეკრულება;
- დამსაქმებლებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, გაცვლითი პროგრამების, ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამების და მოკლევადიანი სასწავლო კურსების განხორციელებისა და ამ პროგრამებში სტუდენტთა, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი;

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნები და შედეგები თითქმის იდენტურია, 7 მიზანი და 7 შედეგი აქვს პროგრამას. სასურველია, მოხდეს პროგრამის მიზნების უფრო გამსხვილება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ინტერნაციონალიზაციის კუთხით უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა რაც, მათი სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულობის გზით, უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ადგილობრივი პროცესების მეტად განვითარებას

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. მიზნები და შედეგები, ფაქტობრივად, იდენტურია – 7 მიზანი და 7 შედეგი არის გაწერილი პროგრამაში. სასურველია, რომ მოხდეს პროგრამის მიზნების გამსხვილება.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს. სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის (ბაკალავრიატის) ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას.

პროგრამის სტრუქტურაში შემავალი კომპონენტების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში არის გამიჯნული თითოეული სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების გამიჯვნას.

პროგრამის შედეგებია:

- იაზრებს კომუნიკაციის თეორიების, ფორმების, ტექნოლოგიებისა და არხების დანიშნულებას საზოგადოების განვითარების ჭრილში; იაზრებს მედიისა და კომუნიკაციის როლს ისტორიულ და დემოკრატიულ ჭრილში; აცნობიერებს ტექნოლოგიების გავლენას კომუნიკაციებზე და მსჯელობს თანამედროვეობის გამოწვევების შესახებ;

- აღწერს ჟურნალისტიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ციფრული კომუნიკაციის სტანდარტებს, პრინციპებსა და ღირებულებებს.
  - კრიტიკულად აფასებს პროფესიულ ამოცანას, ანალიზის საფუძველზე ქმნის მედია პროდუქტს (აუდიოვიზუალური, ტექსტური, მულტიმედია და სხვა); სხვადასხვა აუდიტორიისა და მიზნებისთვის შეარჩევს და იყენებს კომუნიკაციის ეფექტურ ფორმატსა და არხებს.
  - დამოუკიდებლად ქმნის, მართავს და განავითარებს სხვადასხვა ტიპის ციფრულ საკომუნიკაციო არხს.
  - აგროვებს, აანალიზებს, აფასებს და იყენებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან.
  - ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული და არაპროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან, აქტიურად მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებსა და დისკუსიებში; როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, თანმიმდევრულად გადმოსცემს შესაბამის შინაარსს; მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში.
  - პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, ადამიანის უფლებებს; აღიარებს და იზიარებს პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს; ისწრაფვის ცოდნის მუდმივად განახლებისკენ.

პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და ციფრული კომუნიკაციებისთვის აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. პროგრამის სწავლის შედეგები წარმოადგენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც ექნება ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს.

სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრები, ასევე, შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან.

პროგრამას შემუშვებული აქვს კურიკულუმის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება. სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია – პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი იერარქია: I, D, M და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც

- I აღნიშნავს მოცემული საგნის შედეგზე გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction),
- D აღნიშნავს გაღრმავებას (Developement),
- M აღნიშნავს განმტკიცებას (Mastering),

ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ პროგრამის კომპონენტი გავიდეს გაცნობისა და პრაქტიკის (IP) ან პრაქტიკისა და გაღრმავების (DP) დონეზე.

პროგრამის 7 შედეგის ნიშნულების შეფასება ხდება დამამთავრებელი კურსის შემაჯამებელი აქტივობით _ სტუდენტური პორტფოლიოს საფუძველზე სადაც წარმოჩინდება მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტური პორტფოლიოს მეშვეობით შეფასდება, თუ რამდენად გადის სტუდენტი შვიდ

პროგრამულ შედეგზე. თითოეულ შედეგს შეფასებაში მინიჭებული აქვს თავისი წონა. თითოეული სწავლის შედეგისთვის რუბრიკის კომპონენტების შეკრებით, ჩანს ამა თუ იმ სწავლის შედეგის წილი მთლიან შეფასებაში. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 10%-ს. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო კურსებში თეორიული სწავლების გაძლიერება – კომუნიკაციის თეორიების, მედიაფსიქოლოგიის სასწავლო კურსების, ასევე დარგის სამართლებრივი კომპონენტის შეთავაზება, რომელიც საშუალებას მისცემს ბაკალავრიატის სტუდენტებს სიღრმისეულად შეძლონ პრაქტიკაში განსახორციელებელი საკითხების გაანალიზება. სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; • უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.gipa.ge.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • ძლიერი პრაქტიკული კომპონენტი
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ნათლადაა ჩამოყალიბებული. კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა ან ისტორია; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში; გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში

- ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) ითვალისწინებს უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამა დაგეგმილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

როგორც კვლევებით, ისე ინტერვიუებით დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში, გააჩნდათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და მოიცავს 162 კრედიტს - სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის; 30 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის და 24 კრედიტს - თავისუფალ კრედიტს; 15 კრედიტს - სტუდენტური პორტფოლიოსათვის. სასწავლო კომპონენტებისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია კურსების დატვირთვა და შინაარსობრივი სირთულე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ვიზიტის დროს გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 162 კრედიტს სავალდებულო კომპონენტში; 30 არჩევით კრედიტს, 24 თავისუფალ კრედიტს, სავალდებულო პრაქტიკას სტუდენტურ მედიაში 9 კრედიტი და პორტფოლიოს 15კრედიტი. პროგრამაში ძალიან ბევრი სავალდებულო კრედიტია. სასურველია, არჩევითობის კომპონენტი უფრო გამრავალფეროვნდეს.
- რეკომენდირებულია, უფრო საწყის სემესტრებში, პირველივე კურსზე ისწავლებოდეს ისეთი საგნები, როგორიცაა „შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში“ (3), „პროფესიული ეთიკის საფუძვლები“ (3), „მენჯმენტის საფუძვლები“ (4). სასურველია, „მედიასამართალი“ მე-6 სემესტრის ნაცვლად უფრო ადრეულ სემესტრებში ისწავლებოდეს, ისევე როგორც „აკადემიური წერა“ უმჯობესია თუ პირველივე კურსზე იქნება გათვალისწინებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, თავისუფალი კრედიტის გაზრდა, დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს მაინორ პროგრამის აღების შესაძლებლობასაც მისცემს;
- როგორც სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სასურველია, ინგლისური ენის გარდა, უნივერსიტეტი სთავაზობდეს სხვა უცხოურ ენებსაც

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) თითოეულის სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნებაა. ასევე მისასალმებელია, რომ კურსების ლექტორები ხშირ შემთხვევაში არიან მედიაინდუსტრიის წარმომადგენლები, დარგის პრაქტიკოსები, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ასევე სტუდენტების მომავალი დასაქმების თვალსაზრისითაც.

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სირთულესა და სწავლის შედეგებს. ამასთანავე, კურსების სწავლის შედეგები გაზომვადი და ლოგიკურია. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან

შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს საბაკალავრო პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე გადის ესა თუ ის სასწავლო კურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურა მეტწილად განახლებას და გამრავალფეროვნებას საჭიროებს, მით უმეტეს, ისეთი მუდმივად ცვლადი და მუდმივად განვითარებადი სფეროს შემთხვევაში, როგორიცაა ციფრული კომუნიკაციებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, • სასწავლო კურსების სილაბუსები • თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსების დათვალიერება • შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორებთან
რეკომენდაციები: • უნდა გაგრძელდეს მუშაობა ლიტერატურის განახლება-გამრავალფეროვნებაზე, რადგან მთელ რიგ კურსებში ლიტერატურა განახლებას მოითხოვს; • ზოგიერთ სასწავლო კურსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ვიდეორესურსების ლინქები. სასურველია, ისინი გადავიდეს დამხმარე ლიტერტურისა და სხვა სასწავლო მასალების გრაფაში. • საგამოცდო საათები არ ჩანს არც პროგრამის კურიკულუმში, არც სილაბუსებში. მხოლოდ მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშოს საათები, რეკომენდირებულია მიეთითოს, რამდენ საათიანია დასკვნითი და ფინალური გამოცდები. • ზოგიერთი სასწავლო კურსი გაწერილია 7, 8 ან 9 თემატიკაზე და არ ჩანს, როგორ ნაწილდება ეს სალექციო თემები 15 კვირაზე. მაგალითად: „ქცევის დიზაინი და კომუნიკაცია“; „ბრენდინგის საფუძვლები“, „Copywriting”, „PR ქეისები“, “კამპანიები და სტრატეგიები“, „სამთავრობი უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები“, „ჯანდაცვის საკითხების გაშუქება“, „სასწავლო პრაქტიკა“ და სხვ. სასურველია, მკაფიოდ გაიწეროს, რის საფუძველზე ადგენენ მოკლე ვადიანი კურსების საჭიროებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის ძალიან ჭარბად და სასურველია საწყის სემესტრებში მაინც ლექტორებმა რიდერები მოამზადონ; • არ ემთხვევა ზოგიერთი საგნის სახელწოდება პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსში. მაგალითად, DMC 102 ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება 1 (პროგრამაში), „ვებ-ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები“ სილაბუსში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ების განვითარება. სასწავლო კურსების ფარგლებში აქტიურად არის ჩართული პრაქტიკული კომპონენტი. სასწავლო კურსები პროექტული სახის დავალებებით აქტიურად არის დატვირ-თული. გარდა ცალკეული კურსებისა, პრაქტიკულ კომპონენტს აძლიერებს ასევე 9-კრე-დიტიანი პრაქტიკის სავალდებულო კურსი და ფინალური პროექტის, 15-კრედიტიანი პორტფოლიოს (საბაკალავრო პროექტი). აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი პრაქტიკოს ლექტორებს წარმოადგენენ და შესაბამისად, სასწავლო კურსების ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • სასწავლო კურსების სილაბუსები • შეხვედრები საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან • მემორანდუმები • შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული კურსისთვის, რაც მისასალმებელია. სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და უზრუნველ-ყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და სემინარებში. სწავლა-სწავლების მეთო-დები შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგადი კომპეტენციებთან. პროგრამა გამოიყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რომელნიც უზრუნველყოფს ადეკვატურ სასწავლო პროცესს. პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ შეირჩევა სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალებები. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ აქტივობებს: **ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი** და სხვ; **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართუ-ლობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო კურ-სის განმახორციელებელი პირის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **გონებრივი იერიში (Brainstorming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკა-ლურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - ლექტორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხი-ლავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. ან - სტუდენტებს ევალებათ კონკრეტული შემთხვევის შესწავლა ჯგუფურად ან ინდივიდუალურად და ანალიზის წარმოდგენა. **სიმულაცია** - სიმულაცია წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს სწავლის პროცესში, რადგან მონაწილეებს ეძლევათ საშუალება გამოვიდნენ საკუთარი პერსონალური როლიდან და წარ-მოადგინონ განსხვავებული პოზიცია. ამ პროცესში მათ უადვილდებათ კომუნიკაციური ბარიერების გადალახვა და ამყარებენ უკეთეს კავშირს მეორე მხარესთან. სიმულაციის პროცესში დაწყებული თანამშრომლობა და სტრატეგიების შემუშავება ეხმარება მონაწი-ლეებს აღადგინონ/განავითარონ ნდობა სხვებთან მიმართებაში. ამ პროცესის მეშვეობით იქმნება ბაზა სამომავლო თანამშრომლობისათვის. სწავლების მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული კურსისთვის, რაც მი-სასალმებელია. სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და სემინარებში. სწავლა-სწავლების მეთოდები

შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგადი კომპეტენციებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • სასწავლო კურსების სილაბუსები • პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორებთან და მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუ
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭირვალობით. ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისშივე. ცოდნის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად გაეცნოს შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (lmb.gipa.ge) ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება. ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა) მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მიხედვით სტუდენტს უფლება აქვს მიღებული შეფასების გასაჩივრების მიზნით მიმართოს წერილობით დეკანს, რომელიც შემდგომ თავის მხრივ განსაზღვრავს იმ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ორი 2 კვირის ვადაში შეისწავლის და განიხილავს სააპელაციოდ წარდგენილ ნაშრომს. შედეგად, ექსპერტი იღებს გადაწყვეტილებას და იგი სტუდენტის შეფასებას აუმჯობესებს ან ტოვებს ძალაში. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრე-

ბულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით.
აქვე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ ვიზიტმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა, რომელიც რეგულირდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას მოცემული კუთხით. შემფასებლები რეგულარულად მონაწილეობენ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრეინინგებში და იღებენ თანამედროვე ინფორმაციას ამ მიმართულებით. აღნიშნული ასახულია თითოეული კურსის სილაბუსებშიც, რომლებშიც წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, დისკუსიები, ინტერაქტიული სწავლება, პროექტული მუშაობა, ქეისების შესწავლა და ანალიზი, ელექტრონული სწავლებაზეპირი და წერილობითი დავალებების შესრულება და სხვა. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შედეგების შეფასებისთვის თითოეულ საგანში გამოიყენება შუალედური და დასკვნითი შეფასება. გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ.
ხაზგასასმელია, რომ სწავლების მერვე სემესტრში „სტუდენტური პორტფოლიოს“ კურსის (15 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტი ასევე წარმოადგენს ოთხწლიანი სწავლების შედეგების ამსახველ საკუთარ პორტფოლიოს, რომლის ფარგლებშიც აერთიანებს პროგრამაზე სწავლის განმავლობაში სტუდენტის მიერ შექმნილ ნამუშევრებს და ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბების გზით იწყობა ვებპლატფორმაზე, რომელსაც შემდგომ სტუდენტი წარუდგენს როგორც პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ასევე დარგის სპეციალისტებს. ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, ქულები კი ნაწილდება შემდეგნაირად: დავალება 1 - კვლევის შედეგები და კონცეფცია - 15 ქულა, დავალება 2 - პორტფოლიოს ელემენტები - 15 ქულა, დავალება 3 - საკომუნიკაციო სტრატეგია სოც.ქსელებში - 15 ქულა, დავალება 4 - ვების დიზაინი და პროგრამული მხარე - 20 ქულა და ფინალური პრეზენტაცია - 35 ქულა. ფინალურ პრეზენტაციაზე დასაშვებად სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური ჯამური ქულის 30%. ფინალური პრეზენტაციის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი წარმოადგენს შესაბამისი შეფასების 40%. აღსანიშნავია, რომ სტუდენტის დავალებებს (1-4) აფასებს სტუდენტური პორტფოლიოს ხელმძღვანელი, ხოლო ფინალურ პრეზენტაციას აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან შემდგარი კომისია.
როგორც ონლაინ-ვიზიტისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგნმანათლებლო პროგრამა „ციფრული მედია და კომუნიკაცია“;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;

• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა lmb.gipa.ge • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • პროგრამის ვებგვერდი https://gipa.ge/geo/program/show/tsifruli-media-da-komunikatsia;
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების რუბრიკები უფრო მეტ დეტალიზაციას მოითხოვს, რადგან მაღალია ინტერვალი შეფასებებს შორის. მაგალითად: „PR ქეისების“, „მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სფეროში საგამოცდო კომპონენტების ქულა. • „ახალი ამბების თხრობის“ სილაბუსში დასაზუსტებელია 1 კომპონენტის შეფასების სტრუქტურა. შეფასების ინტენსივობა 16-ია, თუმცა, სტრუქტურაში განსაზღვრულია 15; მე-2 კომპონენტი „სავარჯიშოები/დავალებები“ ასევე ითხოვს შესწორებას, რადგან 8 არის გაწერილი და არა 9, როგორც ეს მითითებულია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც ონლაინ ვიზიტის შედეგად ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, „ციფრული მედია და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გამოირჩევა იმ მექანიზმების მრავალფეროვნებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, კერძოდ სტუდენტებთან კომუნიკაცია დაუბრკოლებლად ხორციელდება სასწავლო ელექტრონული პლატფორმის, უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის, ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაციების მეშვეობით.

პროგრამის სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას აწვდიან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით კონსულტაციებს უტარებენ როგორც ინსტიტუტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ასევე პროგრამაში ჩართული პერსონალიც. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას პროგრამის, სასწავლო პროცესის, საუნივერსიტეტო სერვისების, სხვადასხვა დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონიძიებებისა და პროექტების თაობაზე ასევე უშუალოდ პროგრამის კოორდინატორის მეშვეობითაც. ხაზგასასმელია მოცემული პროგრამის სტუდენტების აქტიური ჩართულობა სტაჟირების პროცესებში, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა ორგანიზაციაში (Action Global Communications (AGC), ფორსეტი, ჯიპას ფრონტლაინ კლუბის მედიაწიგნიერების ელჩების პროექტის თანამშრომლები, მონაწილეობდნენ ტრენერებად GeoLab-ის ტრეინინგ-პროექტებში).

აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირებისა და კონსულტირების პროცესში ასევე ჩართულნი არიან სკოლის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების წარმომადგენლები. როგორც ონლაინ ვიზიტისას გამოიკვეთა სტუდენტები აკადემიურ პერსონალთან განსაზღვრულ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათების განმავლობაში იღებენ ყველა საჭირო დახმარებას და ინფორმაციას. სტუდენტთან ინდივიდუალური კონსულტაციები ტარდება კონკრეტული კურსის სილაბუსებით განსაზღვრულ საათებში.

სტუდენტებთან კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge, რომლის მეშვეობითაც ხდება სტუდენტისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე.

როგორც ონლაინ-ვიზიტისას შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტები ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესშიც. პერიოდულად ტარდება სტუდენტებისათვის ზოგადად სკოლის სერვისებისა და პროგრამის შიდა გამოკითხვა, რომლითაც ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამა და მისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ ტექნიკური რესურსები, ასევე ზოგადად სკოლის სერვისის ხარისხიც. რეგულარულად ტარდება შეხვედრები სტუდენტებით დაკომპლექტებულ ფოკუს-ჯგუფებთან მათი კმაყოფილების დონის გამოსავლენად, მოცემულ შეხვედრებზე განიხილება სტუდენტებისათვის საინტერესო ნებისმიერი საკითხი, რომელიც განხილვის შემდგომ შესაბამის ასახვას ჰპოვებს პროგრამის ფორმირების პროცესებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტუდენტებს საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და გრანტების თაობაზე. აქტიური კომუნიკაციის შედეგად პროგრამის სტუდენ-

ტები მონაწილეობდნენ საუნივერსიტეტო კონფერენციებში, ჩართულნი იქნენ სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად. ბაკალავრების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, მათი ჩართულობა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში, ისევე როგორც გაცვლით პროგრამებში მოცემული პროგრამის სტუ-დენტებისა მონაწილეობა (უნგრეთი, ბელგიის და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამები) აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგნმანათლებლო პროგრამა „ციფრული მედია და კომუნიკაცია“;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- სტუდენტებსა და მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა lmb.gipa.ge

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამა გამოირჩევა ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით;
- ასევე ხაზგასასმელია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეწყობით სტუდენტების აქტიური ჩართულობა კვლევით საქმიანობაში;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა, ასევე სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სასწავლო პროცესში ჩართულია 44 ლექტორი, მათ შორის ხუთი პროფესორია, სამი - ასოცირებული პროფესორი, ექვსი - ასისტენტ პროფესორი, 30 კი მოწვეული ლექტორი. პროგრამაზე ირიცხება 87 აქტიური სტატუსის სტუდენტი. შესაბამისად, მათი თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან არის 1:6, ხოლო მოწვეულ პერსონალთან 1:3. ეს თანაფარდობა სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას იძლევა და პროგრამის მიზნებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფი დისტანციურად შეხვდა 8 აკადემიურ პერსონალს და 7 მოწვეულ ლექტორს, ასევე გაეცნო აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებს. ყოველივე ამის შედეგად გამოიკვეთა, რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის კომპეტენცია აკმაყოფილებს სტანდარტებს და პროგრამის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს აკადემიურ ხარისხს და წარმოადგენს წარმატებულ პროფესიონალს საკუთარ დარგში, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და შესაბამისი სამეცნიერო კვლევებით, პუბლიკაციებით და გამოცდილებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოწვეული ლექტორები საკუთარ საქმეში წარმატებულ პრაქტიკოსებს წარმოადგენენ, რაც ამ პროგრამის მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენს.

ამას გარდა, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, 2022 წლისთვის დაგეგმილია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

სასწავლო პროცესში ჩართულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად - ღია კონ-კურსის წესით. მოწვეული პერსონალის შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი, კვალიფიკაციისა და პედაგოგიური გამოცდილების გარდა, არის პრაქტიკული გამოცდილების არსებობა.

პროგრამა ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკა-სიური სკოლის ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დეკანი. დეკანი, უნივერსი-ტეტის რექტორთან შეთანხმებით, პასუხისმგებელია პროგრამის ზოგად სტრატეგიულ განვი-თარებასა და მართვაზე. გარდა ამისა, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ეკუთვნის მისი იდეა და კონცეფცია. პროგრამის ადმინისტრირებას სწორედ ეს უკანასკნელი ახორ-ციელებს.

პროგრამას ხელმძღვანელობს ჯიპა-ს აფილირებული პროფესორი ანა ქეშელაშვილი, სკოლის აკადემიური საბჭოს წევრი და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, რომელსაც პროგ-რამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება გააჩნია და მისი კვალიფი-კაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდი-ლებით და სამეცნიერო ნაშრომებით (ვრცლად იხ. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის ნიმუში.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში. ამ საქმიანობას კოორდინაციას უწევს კვლევების დეპარტამენტი, რომელიც აკადემიური პერსონალის შეფასებას პერსონალის პროდუქტიულობის წლიური ანგარიშის საფუძველზე ყოველწლიურად ახორციელებს. კვლევითი საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ინფორმაციის შეკრებისა და გაანალიზების საფუძველზე უსდ-ის კვლევების დეპარტამენტი ადგენს მომავალი წლის სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმას, რომელიც გულისხმობს გასული წლის განმავლობაში გამოვლენილ პრობლემებსა და მის გამომწვევ მიზეზებზე რეაგირებას კონკრეტული აქტივობების საშუალებით. აკადემიური პერსონალის შესაფასებლად ინფორმაციის შეკრება ხდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით: მონაწილეობა კონფერენციაში; გამოქვეყნებული პუბლიკაციები; კვლევით პროექტებში მონაწილეობა (განხორციელებული, მიმდინარე) კვლევითი პროექტების მიმოხილვით. ხოლო დასრულებული პროექტების შემთხვევაში კი, შედეგების მიმოხილვით; საკონსულტაციო პროექტებში მონაწილეობა (განხორციელებული, მიმდინარე), რაც გულისხ-მობს საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებისთვის გაწეულ კონსულტაციას, ტრენინგებს და სხვა ტიპის აქტივობებს, მათ შორის, შემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში; თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან (თანამშრომლობის ფორმისა და სპეციფიკის აღწერით); სტუდენტების ჩართვა კვლევით პროექტებში, როგორც ემპირიული, ისე გამოყენე-ბითი კვლევებისა და შემოქმედებითი პროექტების ფარგლებში; ინიცირებული, წარდგენილი ან უარყოფილი პროექტების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის თავმოყრა ხდება აკადემიური პერსონალის პორტფოლიოებში, რომელიც იკრიბება სკოლების მიხედვით და კვლევის დეპარტამენტის მიერ გაანალიზებულია საერთო საუნივერსიტეტო დონეზე. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ჯიპაში მოქმედებს შიდა გრანტების სიტემა, რომელიც ითვალისწინებს, ასევე, სამოგზაურო გრანტებსაც, ისევე როგორც რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებელი პუბლიკაციების თარგმანისა და რედაქტირების ხარჯების დაფარვასა და სამეცნიერო ღონისძიებების (სემინარებისა და კონფერენციების) ორგანიზებისთვის ხარჯების გამოყოფას. ამას გარდა, აკადემიური პერსონალი აქტიურია საგრანტო დაფინანსების ძიების კუთხითაც - როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარედანაც. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, მათ შორის საერთაშორისო აქტივობებში, რომ-ლებშიც ჩართულნი არიან ან ჯიპა-ს ან ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის ეგიდით. სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივა-ციის/პედაგოგიური უნარების დახვეწისათვის უსდ-ში მუშაობდა თანამედროვე სწავლების ცენტრი, სადაც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ეწყობოდა როგორც ტრენინგები, ასევე მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული

პერსონალისათვის, რომელიც 2018 წელს სწავლების სრულყოფის ცენტრად გადაკეთდა. უსდ-ის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის კორპორატიული ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება/გაწევა. რაც შეეხება სწავლების სრულყოფის ცენტრს, უნივერსიტეტში მანამდე არსებული თანამედროვე სწავლების ცენტრისგან განსხვავებით, მიმართულია არა მხოლოდ უსდ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული, არამედ მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზეც. ამ მიზნით, საჭიროებებიდან გამომდინარე, ცენტრი მათ წელიწადში რამოდენიმეჯერ სთავაზობს მოკლევადიან ტრენინგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში 2018-დან დღემდე.
- პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

.რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა და აღჭურვილია საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურული რესურსით. კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორიები პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კურსების სრულყოფილ განხორციელებას შესაძლებელს ხდის, რადგან სტუდენტებს მიუხედავად იმისა, პირადად აქვთ თუ არა კომპიუტერი და პროგრამებზე წვდომა, შესაძლებლობა ეძლევათ ყველა პროგრამას სრულყოფილად დაეუფლონ სააუდიტორიო სწავლების პროცესში. ამასთან, ინტერვიუების დროს ისიც დავადგინეთ, რომ პანდემიის

დაწყებისთანავე პროგრამის სტუდენტებს სთავაზობდნენ როგორც დროებით, პირად სარგებლობაში კომპიუტერების გადაცემას, ისე საკუთარ კომპიუტერებში საჭირო პროგრამების ჩატვირთვას, რაც სტუდენტების საჭიროებაზე ორიენტაციის კარგი მაგალითია. მედიასკოლის ბიბლიოთეკა მოწესრიგებული დაგვხვდა და შემთხვევითი შერჩევით სილაბუსებიდან ამოკრეფილი ლიტერატურაც იძებნებოდა. სასწავლო ლიტერატურის უმეტესობა ძირითადად, გაციფრულებულია, რაც უფრო უადვილებს სტუდენტებს წიგნებზე წვდომას. სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო ბაზები • შეფასების დროს შენობისა და ინფრასტრუტურის დათვალიერება • სილაბუსები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს თვითდაფინანსების ხარჯზე, რაც ხორციელდება სწავლების გადასახადის მეშვეობით. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება. დაბალანსების შემდეგ პროგრამის ბიუჯეტი წარედგინება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელთანაც ხდება მისი საბოლოო შეთანხმება. ბიუჯეტი ყოველთვის არის დაბალანსებული, რაც ეფუძნება პროგრამის სტაბილურობას და ხარჯების გონივრულ გაწერას. ყოველი თვის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი უნივერსიტეტის ფინანსურ პასუხისმგებელ პირს წარუდგენს ფინანსურ მოთხოვნას, რომელიც დგება პერსონალის დატვირთვის დამოწმებული დროის აღრიცხვის დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის ბიუჯეტი რეალისტურია და უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას, რაც განპირობებულია, სხვა ფაქტორებთან ერთად, მასში ჩარიცხვის მსურველთა მზარდი რაოდენობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/ პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების საკთხები რეგულირდება დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმდგენილი დოკუმენტებით, კერშოდ: ▪ <u>უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები</u> - თავი III „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ ადგენს პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, ცვლილებების შეტანის, დამტკივების და გაუქმების პროცედურებს და ზოგად მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამისადმი). ამავე დოკუმენტის თავი VIII „სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გა-

მოყენების წესები" აღწერს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამების პროცესი და ეფექტურობის შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები და მექანიზმები, ამ პროცესებში პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების დამსაქმებლების და სხვა დაკავშირებული პირების ჩართულობა. ასევე, განსაზღვრავს შეფასების პროცესის შემადგენელ ასპექტებს - სწავლების ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების ციკლს, სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებებს და საშუალებებს, სასწავლო პროცესის შიდა შეფასების შედეგების ანალიზის და პროგრამის შფასების შედეგების გამოყენების პროცედურას. დოკუმენტის თანახმად, მხედველობაში მიიღება გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება, კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება, სასწავლო პროცესის შიდა შეფასება, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი შეფასებები. შეფასების პროცესში შეიძლება იყოს გამოიყენებული ჯვარედინი შეფასება, რომელიც საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში 4 წელიწადში ერთხელ შეიძლება იყოს გამოყენებული და გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების, დაწესებულების პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ ერთმანეთის საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთშეფასებას. პროგრამის შეფასების, ხარისხის შეფასების გაუმჯობესებისა და დაწესებულების მთელ სისტემაში დაწესებულებაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ მითითებული დოკუმენტის დანართებს, მათ შორის: კოლეგიალური შეფასების ფორმა, სტუდენტის მიერ შესავსები კითხვარი, ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარები (სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისათვის), ლექტორის მიერ შესავსები მოკლე კითხვარი, აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ხარისხსი შეფასების კითხვარი და სხვ.

- <u>ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო</u> - პროგრამის ხარისხის შეფასებისას აღნიშნული სახელმძღვანელო ეყრდნობა „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებს" (თ. III, თ.VIII). მითითებული დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ როგორც სკოლის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალი, ისე დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პოტენციური დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და საჭიროებისამებრ სხვა დაინტერესებული პირები. მხედველობაში მიიღება ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება, შრომის ბაზრის მოთხოვნა ან/და შესაძლებლობა (საგანმანათლებლო ბაზარზე აუთვისებელი პროგრამების შემუშავების მიზნით). დოკუმენტი მოიცავს კურიკულუმის და სილაბუსის უნიფიცირებულ ფორმებს და მათი შემუშავების დეტალურ ინსტრუქციას, ადგდენს სწავლის შედეგების შეფასების განრიგს და გეგმას (მაგალითად, სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების სამიზნე ნიშნულების შეფასება და ანალიზი ხორციელდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც განხორციელდა აღნიშნული კომპონენტი, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შეფასება და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში გულისხმობს 4-წლიან დინამიკაზე დაკვირვებას). ამავე დოკუმენტით თანახმად, პროგრამის განვითარების მიზნით გამოიყენება PDCA პრონციპი: P - იგეგმება სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით

ჩასატარებელი ღონისძიებები, შეფასების საშუალებები, შეფასების კრიტერიუმები, განმახორციელებელი პირები და დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სიხშირე; D - ხორციელდება დაგეგმილი ღონისძიებები შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული პირების ჩართულობითა და დადგენილი მეთოდოლოგიით; შეამოწმე (C) - მოწმდება (განიხილება-ანალიზდება) ჩატარებული საველე და სხვა სამუშაოების შედეგები, ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შეფასება (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების ჩართულობით); (A) - გატარებული ღონისძიებების და მიღებული შედეგების შეფასების გათვალისწინებით შემუშავდება ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციები და ხდება შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მოქმედი წესების იმპლემენტაციას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის სტრუქტურა აერთიანებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ ოფისს და სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა - საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ხორციელდება როგორც პროგრამის, ისე მისი განხორციელების შეფასება, რაც ასევე, გულისხმობს პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარებას.

დაწესებულებაში მოქმედი მიდგომების გამოყენების პროცესზე დეტალურად ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა. თვითშფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო შრომის ბაზრის ტენდენციები, პოტენციური დამსაქმებლების პოზიციიდან დანახული საჭიროებები და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილება. პროგრამის გუნდის წევრებმა აღნიშნეს, რომ ჰქონდათ კონსულტაციები საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, განიხილეს არსებული მოთხოვნების გათვალისწინების შესაძლებლობა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ასევე, გაითვალისწინებს პროგრამის განხორციელების 3 წლის გამოცდილება და მიღებული რეკომენდაციები (მაგ., მრავალფეროვანი არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება). ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა გარკვეული ცვლილებები პროგრამის შინაარსში, მაგალითად, პროგრამის სავალდებულო ნაწილიდან გარკვეული სასწავლო კურსები გადაიტანეს არჩევით ნაწილში, რომელსაც, ასევე, დაემატა სასწავლო კურსები, რომელთა მიმართ იყო დიდი ინერესი (მაგ., ბრენდის კომუნიკაცია, კოპირაქტინგი) და არსებობდა დამატების რეკომენდაცია. თვითშფასების ჯგუფმა და პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა, მიღებული რჩევები და კონსულტაციები.

პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების და შეფასების პროცესებში მნიშვნელოვან როლს, აქტიურ ჩართულობას და მხარდაჭრას აღნიშნავდნენ პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს არის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან ღებულობენ რეკომენდაციებს და რჩევებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს და სხვ., რაც დაადასტურეს პროგრამის განმახორციელებლებმაც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრა ფაკულტეტებთან და

პროგრამების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობაზე, ასევე სამსახურის სამომავლო გეგმებზე, მათ შორის ხარისხის მართვის სისტემის განვითარების განვითარების მიმართულებით, საიდანაც ერთ-ერთი აქტივობა იქნება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასებაში უცხოელის ექსპერტების ჩართუობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად აღსანიშნავია, რომ:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თეორიული საფუძვლები არის რელევანტური და საკმარისი.
- ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამების, შეფასების პროცესები პროცესი არის რეგლამენტირებული და გამჭვირვალე. შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციების, შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის და შედეგების გამჭვირვალობას, სიზუსტეს და შედასების (პროგრესიის დადგენის) შესაძლებლობას.
- პროგრამის შეფასების (ასევე, თვითშეფასების შეფასების) პროცესი - კომპლექსური და თანამშრომლობითიაა, განხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურადაა ჩართული პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების პროცესის მხარდაჭერაში, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კონსულტირებაში და ინფორმირებაში.
- განხორციელდა პროგრამის როგორც შიდა შეფასება, ისე გარე შეფასება დაწესებულებასთან არააფილირებული დარგის სპეციალისტის მიერ (ორივე შეფასების შდეგები იყო შესწავლილი);
- შეფასების (ასევე, თვითშფასების) პროცესი არის დაგეგმილი, თანამშრომლობითი და კომპლექსური - ტარდება წინასწარ განსაზღვრული პერიოდილობით, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, პერსონალის და დაინტერესებული მხარეების (სხვადასხვა ფორმით) ჩართულიბით, ეყრდნობა უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს და მოიცავს პროგრამის და მისი განხორციელების სხვადასხვა ასპექტების შესწავლა-შეფასებას, ანალიზს და გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირებას და ა.შ.

ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ყველა სტუდენტს ჰქონდა ამ პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა - სტუდენტებს შეთავაზეს პროგრამაში ცვლილებების პროექტის (მათთვის სასურველი პროგრამის ხედვის) წარდგენა და პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების პროცესში მონაწილეობა. სტუდენტების რეკომენდაციები იყო შესწავლილი, თავად სტუდენტები კი სხვადასხვა ფორმით და პერიოდულობით მონაწილეობდნენ თვითშეფასების პროეცეში. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა სისტემატური შეხვედრები, მათი რეკომენდაციები (მაგ., არჩევითი სასწავლო კურსების დამატება) იყო გათვალისწინებული მოდიფიცირებულ პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით);
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა დოკუმენტი);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერ-

სონალთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში; • დამსაქმებლებთან განხორციელებული შეხვედრის ანგარიში (2020-2021); • სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში (2020-2021); • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; • სტუდენტური კითხვარის ანალიზი (2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრი); • შიდა და გარე შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში (2018-2021); • აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში განხორციელდა 2018 წელს, როდესაც პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N38, 02/03/2018). აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან მიმართებაში პროგრამა შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ამავდროულად, იყო გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამის გუნდის მიერ იყო გაანალიზებული და გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაციები შემძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: ▪ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა პროგრამის ძლიერი მხარე - პრაქტიკაზე ორიენტირება, ამავდროულად, მიზანშეწონილად მიიჩნია თეორიული სწავლების გაძლიერება და კომუნიკაციის თეორიების სასწავლო კურსების შეთავაზება, მედიაფსიქოლოგიის/მედიასოციოლოგიის/საკანონმდებლო ჩარჩოების სწავლების დამატება. დღეისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია მაგ., სასწავლო კურსები: კომუნიკაციის ფსიქოლოგია, პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორია, მედია სამართალი და სხვ. ასევე, დაკონკრეტდა მასკომუნიკაციის სასწავლო კურსის თემები და დაემატა სწავლის ძირითადი სფეროს ახალი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები. ასევე, პროგრამის მოფიდიფიცირების პროცესში განხორ-

ციელდა სხვა ცვლილებებიც, მაგალითად, სტატისტიკის სასწავლო კურსი გამარტივებული სახით ინტეგრირდა „ციფრული და ინფორმაციული წიგნიერება II“-ის სილაბუსში, „თანამედროვე მართვის მეთოდები“ ამოღებულ იქნა კურიკულუმიდან და სხვ.

- ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, ცალკეული სასწავლო კურსების შემთხვევაში აუცილებელია შეფასების სისტემა და კრიტერიუმები მოერგოს სასწავლო კურსის თავისებურებებს. აღნიშნული გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტების მოდიფიცირებია პროცესში.
- ექსპერტთა მიერ იყო რეკომენდებული ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბოს 40-ზე ნაკლები რაოდენობით სტუდენტთა მიღების შემთხვევაში შემოსავლის სხვა წყაროები, ან თავად გამოხატოს მზაობა პროგრამის თანდაფინანსებაზე/დონაციაზე. დღეისათვის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი პარამეტრებით: 2021-2022; 2022-2023; 2023-2024 წლებისთვის სტუდენტთა მინიმალური საჭირო რაოდენობა (Break-even) თითო კურსზე - 15 და სტუდენტთა მინიმალური საჭირო რაოდენობა (Break-even) ოთხივე კურსზე. ასევე, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა (კანცლერის მოვალეობის შემსრულებელმა) აღნიშნა, რომ პროგრამის ყველა საჭიროება იქნება უზრუნველყოფილი, მათ შორის დაწესებულების სარეზერვო ფონდიდან.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამამ გაიარა გარე შეფასება. პროგრამა შეისწავლა დაწესებულებასთან არააფილიირებულმა სპეციალისტმა (ერთ-ერთი უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირმა), რომლის დასკვნის თანახმად „პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტებთან“.

ასევე, პროგრამა დადებითად შეაფასეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რომლებმაც ექსპერტებთან ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ იცნობენ პროგრამას, დადებითად შეაფასეს პროგრამა, აღნიშნეს მისი ძლიერი მხარეები და აქტუალური შინაარსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასება;
- პროგრამის კურიკულუმი და პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხარისხის შეფასებისას გამოიყენება დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“ (ასევე,უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ (თ. III, თ.VIII) განსაზღვრული მექანიზმები, მათ შორის: სასწავლო პროცესის შეფასება (მათ შორის, კოლეგიალური შეფასება), სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, პროგრამის კომპონენტებისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულებთან დადარების შედეგები, დაინტერესებულის მხარეების მოსაზრებების შესწავლა. შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა დამტკიცებული ფორმები და კითხვარები, მაგალითად: კოლეგიალური შეფასების ფორმა; კოორდინატორის მიერ შესავსები კითხვარი; სტუდენტის მიერ შესავსები კითხვარი; დიპლომანტის მიერ შესავსები კითხვარი; პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტის მიერ შესავსები კითხვარი; ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი (სტუდენტებისთვის); ლექტორის მიერ შესავსები მოკლე კითხვარი; აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმა; GIPA-ს ინტერნაციონალიზაციის შეფასების კითხვარი; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ხარისხი შეფასების კითხვარი; სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების კითხვარი; ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი (კურსდამთავრებულებისთვის).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, საანგარიშო პერიოდში (2018-2022) განხორციელებული აქტივობები ასახულია შემდეგ ანგარიშებში:

- შიდა და გარე შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში (2018-2021) - ასახავს 2018-2019, 2019-2020 და 2020-2021 სასწავლო წლებში განხორციელებულ ცვლილებებს, ინტერნაციონალიზაციის საკითხებს (მითითებულია სხვადასხვა განხორციელებული საერთაშორისო აქტივობები/პროექტები და უცხოეთის უსდ-ების ჩამონათვალი, რომლებშიც შესაძლებელია სწავლა/აკადემიური საქმიანობა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში).
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში - აღწერს და აჯამებს 2018-2021 წლების განმავლობაში პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრების შედეგებს.
- სტუდენტთა დამოკიდებულებების და მოსაზრებების შესწავლის შედეგები მითითებულია რამდენიმე დოკუმენტში - 1) სტუდენტური კითხვარის ანალიზი (2020-2021 სასწავლო წელი) - სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსებს და განმახორციელებლებს; 2) სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში (2020-2021 სასწავლო წელი) - სტუდენტებმა შეაფასეს პროგრამის კოორდინატორთან მუშაობა, სასწავლო პროცესის ორგანიზებულობა და სხვ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ „განვლილი სასწავლო კურსები სრულ თანხვედრაშია კურიკულუმთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პანდემიიდან გამომდინარე მოხდა პრაქტიკული საგნების გადაადგილება მომდევნო სემესტრებში“ (მსგავსმა სას-

წავლო კურსებმა გადაინაცვლეს გაზაფხულის სემესტრში, როდესაც პრაქტიკული კურსები ჩატარდა მცირე ჯგუფებში, რეგულაციების დაცვით, წინასწარ განსაზღვრულ სალექციო საათებში). ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს ძლიერი და გასაუმჯობესებელი ასპექტები. სტუდენტთა აზრით, გაუმჯობესებას საჭიროებს ლექტორთა მიერ შეფასებების ელექტრონულ ბაზაში დროულად ასახვა და უკუკავშირის დროულად დაბრუნება. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ გამოკითხვებში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფისათვის სტუდენტი მიღებულ შეფასებას ნახულობს მხოლოდ კითხვარის შევსების შემდეგ. აღნიშნული მეთოდი არის ნაკლებად რელევანტური, რადგან: 1) სტუდენტს აქვს უფლება დროულად იყოს ინფორმირებული მიღებული შეფასების შესახებ. გარდა ამისა, გამოკითხვებში სავალდებულო მონაწილეობა ვერ იქნება სტუდენტის ცოდნის შეფასების (მათ შორის, ამ შეფასების შედეგის გაცნობის) პროცედურის ნაწილი, 2) სტუდენტს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი ან უარის თქვას ამ ამზრის გამოხატვაზე.

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი - კვლევისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი მიდგომები: გაანალიზებულ იქნა სასწავლო კურსების მიხედვით მაჩვენებლები, სადაც A შეფასება მიღებული აქვს სტუდენტების 30%-ზე მეტს; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ საგნების მაჩვენებელზე, სადაც A შეფასება მიღებული აქვს სტუდენტების 50%-ს ან მეტს. ასევე, მოხდა იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომლებშიც უარყოფითი შეფასება მიიღეს სტუდენტების 30%-მა ან მეტმა, რაც შეუსაბამობაში მოვიდა ამ სასწავლო კურსისთვის დადებითი შეფასების მიღების სამიზნე ნიშნულთან, რომელიც მერყეობს სტუდენტთა რაოდენობის 50%-80%-ის ფარგლებში და დასაშვებიცდომილება 15%-ს შეადგენს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, მაგ.: „იმ საგნებში, სადაც დაფიქსირდა შეფასება A (50% და მეტი) - სასურველია 2021-2022 სასწავლო წლის შესაბამის სემესტრში გამოყენებულ იქნას კოლეგიალური დასწრების მექანიზმი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება ინტენსიურად განხორციელდეს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, მოხდეს 2018-2019, 2019-2020 და 2020-2021 სასწავლო წლებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედარება აღნიშნული საგნების ფარგლებში“, „საგნებში სადაც საერთოდ არ ფიქსირდება შეფასება (F) მნიშვნელოვანია გადაიხედოს სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო მასალების სირთულის დონე“ და სხვ.
- დამსაქმებლებთან განხორციელებული შეხვედრის ანგარიში (2020-2021 სასწავლო წელი) - დოკუმენტის თანახმად, შეხვედრის დროს გამოიკვეთა დამსაქმებელთა შემდეგი ძირითადი მოსაზრებები და მიგნებები, დასახელდა ის საჭირო ცოდნა და უნარები, რომლებიც დამსაქმებლების აზრით უნდა ჰქონდეთ კურსდამთავრებულებს. ასევე, პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნეს სწავლის პროცესშივე პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერების მნიშვნელობას. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებები იყო გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, რაც დაადასტურეს თავად დამსაქმებლებმაც. მათი აზრით, მოდიფიცირების შემდგომ პროგრამა შეესაბამება დამსაქმებლების მოთხოვნების კრიტერიუმებს.

გარდა ზემოთ მითითებულისა, საანგაროშო პერიოდში განხორციელდა ქართულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შეირჩა 4 უნივერსიტეტი (პროგრამები: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია; ჟურნალისტიკა/მასობ-

რივი კომუნიკაცია; პიარი და კომუნიკაცია; ჟურნალისტიკა). ასევე, განცილულ იქნა უცხოეთის უსდ-ების პროგრამები, მაგალითად: IE University (ესპანეთი) - საბაკალავრო პროგრამა „კომუნიკაციასა და ციფრულ მედიაში“ და London Metropolitan University-ს პროგრამა „ციფრული მედია“. შესწავლის შედეგები აისახა დოკუმენტში დასახელებით „ქართულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და მისი დანართები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით); • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა დოკუმენტი); • საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში; • დამსაქმებლებთან განხორციელებული შეხვედრის ანგარიში (2020-2021); • სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში (2020-2021); • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; • სტუდენტური კითხვარის ანალიზი (2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრი); • შიდა და გარე შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში (2018-2021); • ქართულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია, სტუდენტურ გამოკითხვებში მონაწილეობა ატარებდეს ნებაყოფილობით ხასიათს. მიზანშეწონილია განემარტოს სტუდენტებს მათი დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესწავლის მნიშვნელობა და შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვებში სტუდენტების ჩართულობის ისეთი მექანიზმები, რომლებიც არ შეზღუდავენ სტუდენტების უფლებებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„ციფრული მედია და კომუნიკაცია“, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დალი ოსეფაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თინათინ ზაქარაშვილი

მალხაზ გაგუა

თამარ გვიანიშვილი

ნანა ფირცხელანი